

წესები

დემო ანგარიშის კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

(სამი საპრიზო ადგილი / თითოეულ გამარჯვებულს – გარანტირებული საპრიზო თანხა 5000\$, 1000\$ და 500\$ რეალურ ანგარიშზე)

1. დემო ანგარიშებზე კონკურსის ჩატარების მიზანი და ზოგადი პირობები

1.1. დემო ანგარიშებზე გამოცხადებული კონკურსის წინამდებარე წესები (შემდგომში- „წესები“) შემუშავებულია და დამტკიცებულია „საბროკერო და აქტივების მმართველი კომპანია ველსი“-ს მიერ (შემდგომში-„კომპანია“). კომპანიის მიერ დემო ანგარიშებზე გამოცხადებული კონკურსი (შემდგომში-„კონკურსი“) მოიცავს კონკურსში მონაწილეობის წესებს და ასევე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის პირობებს, მათი დაჯილდოების პირობების ჩათვლით და ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც შეავსებენ განაცხადს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად (შემდგომში - „მონაწილეები“)

1.2. კონკურსის ჩატარების მიზანია ყველა მონაწილეთაგან, იმ სამი გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებმაც კონკურსის დამთავრების დროს აჩვენეს ვაჭრობის საუკეთესო შედეგი, წინამდებარე წესების შესაბამისად და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.3. კონკურსის მონაწილეები აღიარებენ რომ:

ა) წინამდებარე წესები არის ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც არეგულირებენ კონკურსის ჩატარების ყველა ეტაპს და ვალდებულებას იღებენ შეასრულონ ეს წესები და ყველა პირობა, რომელიც დაკავშირებულია კონკურსში მონაწილეობასთან, გამარჯვებულ მონაწილეთა დაჯილდოების პირობების ჩათვლით.

ბ) გაეცნენ სავაჭრო ოპერაციების განხორციელების რეგლამენტს:(შემდგომში „რეგლამენტი“) და იღებენ ვალდებულებას შეასრულონ მისი დებულებები კონკურსში მონაწილეობის პროცესის განმავლობაში. ზემოთხსენებულ რეგლამენტსა და მოცემულ წესებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მოცემული წესების პირობებს.

1.4. მოცემული წესები გამოქვეყნებულია კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია. ჩაითვლება, რომ ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიტანა განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, სრულად გაეცნო მოცემულ წესებს და არ შეუძლია განაცხადოს საპირისპირო რამ კონკურსში მონაწილეობის პროცესის დროს ან/და კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის ეტაპზე.

1.5. კომპანიას უფლება აქვს შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე წესებში საკუთარი შეხედულებისამებრ, კონკურსის ჩატარების ნებისმიერ ეტაპზე. ასეთი ცვლილებები ან/და დამატებები ძალაში შედის მოცემულ წესებში მათი შეტანის მომენტიდან, რის შესახებაც კომპანია აცნობებს მონაწილეებს კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე მოცემული წესების მოქმედი ვარიანტის გამოქვეყნების გზით.

1.6. მოცემულ წესებში მოქმედებს ის ზოგადი ტერმინოლოგია, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან შეთანხმებებსა და მის დანართებში.

2. კონკურსში მონაწილეობის პირობები:

2.1. კომპანიის მიერ კონკურსი ჩატარდება შემდეგ თარიღებში: 01/04/2019 00:01 საათიდან 30/04/2019, 24:00 საათამდე, კომპანიის სერვერის დროის შესაბამისად (შემდგომში „კონკურსის ჩატარების პერიოდი“)

2.2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა კომპანიაში კლიენტის ანგარიშის ქონა და კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განაცხადი, რომელიც შეტანილი იქნება წინამდებარე წესების შესაბამისად. განაცხადები კონკურსში მონაწილეობის თაობაზე მიიღება, მოცემული პირობების კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან 31.04.2019 -ის ჩათვლით, იმ პირობით, რომ მონაწილის პიროვნების ვერიფიკაციის პროცესის ინიცირებამ, რაც ხორციელდება, მონაწილის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სკანირებული ასლის კომპანიისათვის წარმოდგენით, წარმატებით გაიარა, მონაწილის პერსონალური მონაცემების სრული ან კომპანიის მიერ ჩამოყალიბებული იდენტიფიკაციის პროცედურის შესაბამისად.

2.3. კონკურსის შედეგების გამოთვლა ხორციელდება 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, კონკურსის ვადის ამოწურვის შემდეგ. კომპანიას უფლება აქვს გააგრძელოს ან შეამციროს კონკურსის ვადა, საკუთარი შეხედულებისამებრ, იმ პირობით, რომ შეატყობინებს მონაწილეებს ამის შესახებ, ამ სახის ცვლილებების თაობაზე მოცემულ წესებში მათი შეტანის გზით, ამ წესების 1.5 მუხლის შესაბამისად.

2.4. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს, გარდა მათი ვინც ვერ მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, კანონმდებლობისა და იურისდიქციის შესაბამისად, კომპანიის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების და ნათესავების, ასევე იმ პირებისა, რომლებიც არიან იმ ქვეყნის ან/და ტერიტორიის რეზიდენტები, სადაც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დონე და ზომები FATF –ის მიერ აღიარებულია არასაკმარისად. კომპანიას უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერი იმ საკონკურსო განაცხადის მიღებაზე ან მოახდინოს ნებისმიერი მონაწილის სტატუსის ანულისრება, ყოველი მიზეზის ახსნის გარეშე, იმ შემთხვევების ჩათვლით, როდესაც მონაწილემ წარმოადგინა საეჭვო ან

არასწორი ინფორმაცია ან როდესაც კომპანიისათვის ცნობილი გახდა ფაქტი ამ წესების ან/და რეგლამენტის ნებისმიერი მუხლის დარღვევის შესახებ.

2.5. კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადზე თანხმობის მიღების შემდეგ, მონაწილეს ეხსნება საკონკურსო ანგარიში კომპანიის სისტემაში, რომელსაც მოყვება უნიკალური ლოგ-ინ და პაროლი. მიღებული მონაცემები გამოიყენება მონაწილის მიერ კომპანიის «MT-4 ტერმინალში» შესვლისათვის (შემდგომში „სავაჭრო ტერმინალი“) კონკურსში მონაწილეობისა და შემდგომი ვირტუალური ვაჭრობის განხორციელების მიზნით, გამოიყენება კომპანიის მიმდინარე კოტირებათა ნაკადი.

2.5.1. კონკურსში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მონაწილემ წინასწარ უნდა გადმოწეროს და დააყენოს სავაჭრო ტერმინალი თავის კომპიუტერზე. სავაჭრო ტერმინალის დაყენების და დამონტაჟების პროცესი სრულად იდენტურია, როგორც საკონკურსო ასევე დემო და რეალური ანგარიშებისთვის.

2.5.2. ბალანსის საწყისი დანიშნულება და საკრედიტო მხარი ყველა მონაწილისათვის ერთი და იგივეა და შეადგენს:

- ბალანსი - 5 000 ვირტუალური აშშ დოლარი;
- საკრედიტო ბერკეტი (მხარი) - 1:50, ცვლილების შესაძლებლობის გარეშე.

2.5.3. ვაჭრობის პროცესში, მონაწილეს აქვს შესაძლებლობა გახსნას გარიგება სავაჭრო ტერმინალით ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოცულობით, დაწყებული 0,01 ლოტიდან.

2.5. მონაწილე იღებს ვალდებულებას არ მოახდინოს კონკურსში ხელმეორედ მონაწილეობის განაცხადის ინიცირება და არ გახსნას ერთზე მეტი საკონკურსო ანგარიში თავის ან/და აფილირებული პირების სახელზე. თუკი გამოვლინდება ორ ან მეტი საკონკურსო ანგარიში, რომელიც გახსნილია ერთი და იმავე მონაწილის მიერ ან გამოვლინდება ისეთი ფაქტები, რომლითაც მტკიცდება რომ ერთი და იმავე მონაწილე ახორციელებს რამდენიმე საკონკურსო ანგარიშის მართვას (მაგალითად, ორ ან მეტ საკონკურსო ანგარიშზე მუშაობა ერთი და იმავე IP-მისმართიდან), მონაწილე დისკვალიფიცირდება, როგორც კონკურსის ვადის მიმდინარეობის ეტაპზე, ასევე მისი დასრულების შემდეგ-კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის ეტაპზე.

2.6. კონკურსის ვადის მიმდინარეობის დროს, მონაწილის მიერ განხორციელებული სავაჭრო გარიგებების რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები.

2.7. მონაწილეებს აქვთ წვდომა ნებისმიერი სავაჭრო ოპერაციის განხორციელებაზე საკონკურსო ანგარიშზე, კონკურსის მთელი ვადის ფარგლებში, სავაჭრო ტერმინალში არსებული ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების გათვალისწინებით.

3. გამარჯვებულთა გამოვლენა:

3.1. კონკურსის გამარჯვებულებს ამ წესების 1.2 მუხლის შესაბამისად გამოავლენს კომპანიის საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3.2. მონაწილეები, რომლებმაც დაარღვიეს წინამდებარე წესები ან/და კომპანიის რეგლამენტი, ექვემდებარებიან დისკვალიფიკაციას, რაც უფლებას ართმევს მათ მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე კონკურსში.

3.3. მონაწილე, რომელსაც წარმოეშვა აქტიური გარიგების უარყოფითი ბალანსი 20%-ის ან მეტის ეკვივით (просадка), მომგებიანობის უმაღლესი წერტილიდან, რომელიც დაფიქსირებული იქნა ერთერთ საათობრივ „როლოვერში“, ავომატურად ეთიშება კონკურსს.

3.4. კონკურსის ვადის ამოწურვის შემდეგ, მონაწილეთა, ყველა გახსნილი გარიგება (პოზიცია) იძულებით დაიხურება კომპანიის მიერ იმ ფასით, რომელიც არსებობს კონკურსის ვადის ამოწურვის პერიოდისათვის.

3.5. კონკურსის მონაწილეთა გამოვლენის წესი წინამდებარე წესების 3.1 მუხლის შესაბამისად ხორციელდება შემოსავლის ყველაზე მაღალი პროცენტი-იმ მოგების თანხით, რომელიც მიღებულია კონკურსის ვადის ამოწურვის დროისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი ორ ან მეტ მონაწილეს აქვს მოგების ერთი და იგივე პროცენტი, საპრიზო ადგილების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის მიერ, მოცემული წესების 3.6 მუხლში მითითებული მაჩვენებლების საფუძველზე.

3.6. კონკურსის გამარჯვებულის საბოლოო რეიტინგის გაანგარიშებისა და ფორმირებისათვის, წინამდებარე წესების 1.2 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო კომისიის მიერ, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი მონაცემები:

- მაქსიმალურად ხელმისაწვდომი მოგების პროცენტი (პრიორიტეტი №1);
- მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უარყოფითი ბალანსის (просадка) ეკვივითის მომგებიანობის უმაღლესი წერტილიდან, (პრიორიტეტი №2 ანუ რაც ნაკლებია მით უკეთესია).

3.7. კომპანიას უფლება აქვს შეაჩეროს ან შეწყვიტოს კონკურსის პროცესი, იმ შემთხვევაში თუკი წარმოიქმნა ტექნიკური პრობლემები იმ პროვაიდერების მხრიდან, რომლებიც ახორციელებენ კომპანიის ტექნიკურ აღჭურვას, ასევე სისტემური გაუმართაობის დროს ლიკვიდურობის მომწოდებელთა ან/და კომპანიის სხვა კონტრაქტების მხრიდან, კომპანიას ამ მუხლში მითითებული უფლების განხორციელების უფლება აქვს საგანგებო ვითარების დადგომის დროს, რომელიც წარმოიშვა კონკურსის დაწყების შემდეგ და რომელთა წინასწარი განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება კომპანიას არ შეეძლო გონივრული ზომებით. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, კონკურსის მონაწილეებს უფლება არ აქვთ გამოთქვან რაიმე სახის პრეტენზია კომპანიის მისამართით. მათ შორის ისეთი პრეტენზიები, რაც დაკავშირებულია მორალურ ან/და სხვა სახის ზიანთან.

4. მონაწილეთა დაჯილდოვება

4.1. კონკურსის შედეგების მიხედვით, მონაწილეები, რომლებმაც აჩვენეს საუკეთესო შედეგები ვაჭრობაში, მოცემული წესების და საკონკურსო კომისიის დასკვნის შესაბამისად დაიკავებენ 3(სამ) საპრიზო ადგილს და დაჯილდოვდებიან. კონკურსის თითოეული გამარჯვებული მიიღებს კომპანიისგან საპრიზო «ანგარიშს», რომელზეც კომპანია დაურიცხავს საკუთარ ფინანსურ სახსრებს, გარანტირებული ინვესტიციის სახით, რომელიც შეადგენს 6500 (ექვსი ათას ხუთასი) აშშ დოლარს. პირველ ადგილზე გასული მიიღებს 5000

(ხუთი ათას) აშშ დოლარს, მეორე ადგილზე გასული მიიღებს 1000 (ათას) აშშ დოლარს და მესამე ადგილზე გასული მიიღებს 500 (ხუთას) აშშ დოლარს რეალურ ანგარიშებზე.

4.2. წინამდებარე პირობების, 4.1 პუნქტში აღნიშნული თანხები, რომელიც გამოყოფილია ჯილდოს სახით და რომელსაც კომპანია დაურიცხავს პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მონაწილეებს, განკუთვნილია მხოლოდ ვაჭრობისათვის და კონკურსში გამარჯვებულს არ აქვს ამ თანხის გატანის უფლება. თუმცა, თუკი ტრეიდერი სამართავად გადაცემულ ანგარიშზე, ჯილდოს სახით დარიცხული თანხებით ვაჭრობის შედეგად მიიღებს გარკვეულ მოგებას, მას უფლება ექნება გაიტანოს მხოლოდ მოგების სახით მიღებული თანხა.

4.3. საპრიზო «ანგარიშის» მისაღებად კონკურსის ყოველმა მონაწილემ, რომლებიც განსაზღვრული არიან ამ წესების 4.1 პუნქტში, ვალდებულია გაიაროს სრული ვერიფიკაცია (თუკი ის ადრე არ გაუვლია), მიაწოდოს კომპანიას ყველა აუცილებელი ინფორმაცია «ანგარიშის» ფუნქციონირებისთვის.

4.4. იმ შემთხვევაში თუ არ შესრულდა ამ წესების 4.2 პუნქტის მოთხოვნები, კომპანიას უფლება აქვს უარი უთხრას კონკურსის გამარჯვებულს „ანგარიშის“ გახსნაზე, თუკი ამ უკანასკნელის მიერ არ იქნება წარმოდგენილი შემდეგი:

ა) კომპანიისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია/დოკუმენტები ამ წესების 4.2 პუნქტის შესაბამისად;

ბ) საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაამტკიცებს ობიექტურ მიზეზებს, რატომაც მონაწილემ ვერ შეძლო სრული ვერიფიკაციის გავლა ან ამ დოკუმენტების/ინფორმაციის წარდგენა მოცემულ ვადაში.

კომპანიის ადმინისტრაცია წარმატებებს გისურვებთ!